

მობილობის ჩანართში

განისაზღვრა „2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის მობილობის, სტატუსის აღდგენის და შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები

1. 2019–2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრა **2019 წლის 21 აგვისტოს 18.00 საათამდე**.
2. 2019–2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციის ვადა განისაზღვრა **2019 წლის 16 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.
3. სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის გავლილი კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელების (უფლებამოსილი პირების) მიერ დასკვნების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა 2019-2020 სასწავლო წლის **19 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.
4. 2019–2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციისა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა **2019 წლის 21 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით**.
5. აღნიშნული სტუდენტებისთვის გავლილი კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელების (უფლებამოსილი პირების) მიერ დასკვნების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა მიმდინარე სასწავლო წლის **13 სექტემბრამდე (ჩათვლით)**.

6. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის პროექტი გაფორმდეს და წარედგინოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2019-2020 სასწავლო წლის **16 სექტემბრის ჩათვლით**.

7. სტუდენტების სტატუსის აღდგენის, შიდა მობილობითა და მობილობით ჩარიცხვის შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი გაფორმდეს 2019-2020 სასწავლო წლის **1 ოქტომბრამდე**.

8. მობილობით გადასულ სტუდენტებზე სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებიდან ამონაწერი (თანდართული დოკუმენტებით) გაიცეს მომართვიდან ერთი კვირის განმავლობაში;

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დარეკეთ 591 32 42 42/ 568 855 661